საქართველოს მთავრობის განკარგულება

№950 2016 წლის 27 მაისი ქ. თბილისი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ფიზიკური პირებისათვის ავთანდილ ჭრიკიშვილისა და ვარლამ ლიპარტელიანისათვის პირდაპირი მიყიდვის ფორმით პრივატიზების შესახებ

1. „სახელმწიფო ქონების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული, ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 1381.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი №01/226 (ს/კ: 01.14.15.001.226) და ქ. თბილისში, ნუცუბიძე-ვაშლიჯვრის დამაკავშირებელი გზის მიმდებარედ არსებული 394.00 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 01.14.15.001.249), პირდაპირი მიყიდვის ფორმით, 379 000 (სამას სამოცდაცხრამეტი ათასი) ლარად, საკუთრებაში გადაეცეთ ფიზიკურ პირებს ავთანდილ ჭრიკიშვილსა (პ/ნ: 12031007307) და ვარლამ ლიპარტელიანს (პ/ნ: 24031005547).

2. ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული უძრავი ქონების საპრივატიზებო პირობებად განისაზღვროს:

ა) საპრივატიზებო თანხის გადახდა ამ განკარგულების დანართის შესაბამისად;

ბ) ამ განკარგულების პირველი პუნქტით გათვალისწინებულ უძრავ ქონებაზე ან/და მათ ნაწილზე, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან არა უმეტეს 36 (ოცდათექვსმეტი) თვის ვადაში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით:

ბ.ა) სპორტული კომპლექსის (რომელიც მოიცავს (მაგრამ შესაძლოა, არ შემოიფარგლებოდეს) დახურული ტიპის საცურაო აუზ(ებ)ს, ჯამში არანაკლებ 30 (ოცდაათი) ადამიანზე გათვლილ, არანაკლებ 2 (ორი) გასახდელ ოთახს, არანაკლებ 8 (ინდივიდუალურ) საშხაპეს, სპორტსმენების ფიზიკური მომზადებისათვის განკუთვნილ სავარჯიშო დარბაზ(ებ)ს)) შექმნა (აშენება, კანონით დადგენილი წესით ექსპლუატაციაში მიღება, სარემონტო სამუშაოების ჩატარება, აღჭურვა (მათ შორის, სპორტული ინვენტარით)) და ფუნქციონირების დაწყება;

ბ.ბ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების მიზნით, არანაკლებ 400 000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება;

გ) ამ პუნქტის „ბ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულებიდან 1 (ერთი) თვეში, ამავე ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სპორტულ კომპლექსში, პირადად ან/და მესამე პირ(ებ)ის მეშვეობით, არანაკლებ 15 (თხუთმეტი) ადამიანის დასაქმება არანაკლებ 1 (ერთი) წლის ვადით.

3. ფიზიკურმა პირებმა ავთანდილ ჭრიკიშვილმა და ვარლამ ლიპარტელიანმა, ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ა-გ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული საპრივატიზებო პირობების შესრულების (მათ შორის, ამ ვალდებულებ(ებ)ის შეუსრულებლობისათვის შესაბამისი ხელშეკრულების საფუძველზე დაკისრებული პირგასამტეხლოს გადახდის) უზრუნველსაყოფად, შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებამდე, წარადგინონ ამ განკარგულების მე-2 პუნქტის „ბ.ბ“ ქვეპუნქტით

გათვალისწინებული ინვესტიციის თანხის არანაკლებ 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტია, რომლის ვადაც ამავე პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით დადგენილ ვადას უნდა აღემატებოდეს არანაკლებ 4 (ოთხი) თვით.

4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალმა საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა - სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ, ამ განკარგულების შესრულების მიზნით, განახორციელოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი ღონისძიებები.

პრემიერ-მინისტრი **გიორგი კვირიკაშვილი**

დანართი N1		
N	გადახდის თარიღი	თანხა (ლარი)
1	შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-6 თვის ბოლომდე	94750 (ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი
2	შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-12 თვის ბოლომდე	94750 (ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი
3	შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან მე-18 თვის ბოლომდე	94750 (ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი
4	შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24-ე თვის ბოლომდე	94750 (ოთხმოცდათოთხმეტი ათას შვიდას ორმოცდაათი) ლარი
სულ: შესაბამისი ხელშეკრულების გაფორმებიდან 24-ე თვის ბოლომდე 379 000 (სამას სამოცდაცხრამეტი ათასი) ლარი		